

ადმინისტრაციულ წარმოებაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ  
ეწინააღმდეგება კანონს და არ დარღვეულა მისი მომზადების ან გამოცემის  
მოთხოვნები.

## 7. საპროცესო ხარჯები

7.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მეორე  
ნაწილის შესაბამისად სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაი.  
ამვე კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად იმ მხარის მიერ  
გაწეული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი  
გადაწყვეტილება ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული  
იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში ხარჯების გადახდისგან. თუ სარჩელი  
დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ  
მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლო გადაწყვეტილებით იქნა  
დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს - სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის  
პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს ეთქვა უარი.

## სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-244-ე,  
247-249-ე, 256, 257 მუხლებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო  
კოდექსის მე-2, მე-4, მე-12, მე-19 მუხლებით,


## გადაწყვეიბა

ენვერ ირემძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.  
ენვერ ირემძის მიერ სახელმწიფო ბაი არის გადახდილი  
გადაწყვეტილება შესაძლებელი არის გასაჩივრდეს ქუთაისის სააპელაციო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში დასაბუთებული  
ადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში ხელვაჩაურის  
აიონული სასამართლოს მეშვეობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო მდებარეობს ქ.ქუთაისი ნიუპორტის ქუჩა  
№32, ხოლო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო მდებარეობს - დაბა  
ელვაჩაური, აღმაშენებლის ქუჩა №80.

მოსამართლე

დავით მამისიძე



14  
[Handwritten signature]





საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

გადაწყვეტილება N 882016408744-03 (05.07.2016)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა განცხადება (No.882016408744; 29 ივნ 2016; განმცხადებელი: რუსლან დიასამიძე, მისამართი: ბათუმი შ.ხიმშიაშვილის ქ. N 11 ბ. 4). განცხადებით მოთხოვნილია საკუთრების უფლების რეგისტრაცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, მდებარე ხელვაჩაური, სოფ. გონიო [ზონა:ხელვაჩაური, სექტორი:]

განცხადებაზე თანდართულია:

1. დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
2. ელ. ვერსია
3. ნახაზი და საკუთრების მოწმობა იხ.882008002592

ვინაიდან ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის 2016 წლის 27 ივნისის #12 ოქმით არ დგინდება კონკრეტულად რომელი ინიციატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნაწილში იქნა ბათილად ცნობილი ხელვაჩაური მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 3 დეკემბრის #39 საოქმო გადაწყვეტილება (მესაკუთრებისა და საკუთრების უფლების მოწმობების რეკვიზიტების მითითებით). აღნიშნულის დასადგენად მარეგისტრირებელმა ორგანომ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიისგან 2016 წლის 05 ივლისს N 162104 (KA011746805141216) წერილით გამოითხოვა ინფორმაცია ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმახორციელებელი მუდმივმოქმედი კომისიის 2016 წლის 27 ივნისის #12 ოქმის საფუძველზე, კონკრეტულად რომელი ინიციატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნაწილში იქნა ბათილად ცნობილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2010 წლის 3 დეკემბრის #39 საოქმო გადაწყვეტილება (მესაკუთრებისა და საკუთრების უფლების მოწმობების რეკვიზიტების მითითებით)..შესაბამისად შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება აღნიშნულ წერილზე პასუხის მიღებამდე.

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება და შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად განისაზღვროს ვადა: უვადოდ.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მის.: ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/წ. ჩხეიძის ქ.#2) და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით.



### 3. ფაქტობრივი გარემოებები

- 3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები
- 3.2. დადასტურებული სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. ენერჯირემპემ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების, აღიარების კომისიას განცხადებით მიმართა 2007 წლის 11 დეკემბერს რომელიც მოითხოვა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გონიოში მდებარე მიწის ნაკვეთის საკუთრებაში აღიარება და განცხადებას თან დაურთო პირადობის მოწმობის ასლი და აზომვითი ნახაზი. (იხ. ადმინისტრაციული წარმოების მასალები)

3.2.2 2007 წლის 13 დეკემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ ენერჯირემპემს, როგორც მართლმწიერი მფლობელის საკუთრებად აღიარა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გონიოში მდებარე 1980 კვ/მ მიწის ნაკვეთი (იხ.საკუთრების უფლების №0038 მოწმობა, 2007 წლის 13 დეკემბრის №3 გადაწყვეტილება)


3.2.3 2007 წლის 28 ივლისიდან - ენერჯირემპის საკუთრების უფლების №0038 მოწმობა, საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელვაჩაურის სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრირებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გონიოში მდებარე 1980 კვ/მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. (იხ.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან)

3.2.4 2007 წლის 03 დეკემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ ბათილად იქნა ცნობილი ენერჯირემპის 2007 წლის 13 დეკემბერს გაცემული №0038 საკუთრების უფლების მოწმობა. (იხ. 2010 წლის 03 დეკემბრის №39 გადაწყვეტილება)

3.2.5 2007 წლის 03 დეკემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გონიოში მდებარე "გონიო - აფსარო" საარქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსი" არის ეროვნული მნიშვნელობის მქონე უძრავი ძეგლი. (იხ.საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 07 ნოემბრის №665 ბრძანებულება)

3.2.6 2007 წლის 03 დეკემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი გონიოში მდებარე "გონიო კურორტი" (იხ.საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ივლისის №655 ბრძანებულება)

3.2.7 2007 წლის 03 დეკემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი გონიოში მდებარე "გონიო კურორტი" არის ეროვნული მნიშვნელობის მქონე უძრავი ძეგლი. (იხ.საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 07 ნოემბრის №665 ბრძანებულება)





3.2.8 ენვერონმენტის 2007 წლის 13 დეკემბერს უკანონოდ აუღიარდა საკუთრებაში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გონიოში მდებარე 1980 კვ/მ მიწის ნაკვეთი. (იხ. მოპასუხე მხარის ახსნა განმარტება, ადმინისტრაციული წარმოების მასალები)

3.2.9 ენვერონმენტს არ წარმოადგენდა საკუთრებაში აღიარებული მიწის ნაკვეთის არც მართლობიერ მფლობელს და არც თვითნებურად დამკვეთელ პირს. (იხ. მოპასუხე მხარის ახსნა განმარტება, ადმინისტრაციული წარმოების მასალები)

3.2.10 ენვერონმენტს საკუთრების უფლების მოწმობა გაცემულია 2007 წლის 13 დეკემბერს, მაშინ როცა ხსენებულ მიწაზე საკადასტრო აზომვითი ნახაზი შედგენილია დაგვიანებით - 2007 წლის 17 დეკემბერს. (იხ. ადმინისტრაციული წარმოების მასალები)

## სამოტივაციო ნაწილი

### 4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

4.1. 2010 წლის 03 დეკემბრის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის №39 საოქმო გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება კანონს და მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს.

### 5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ (2007 წლის 13 დეკემბრის რედაქცია) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები და მე-5 მუხლის მე-7 ნაწილი, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ (2007 წლის 13 დეკემბრის რედაქცია) საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> და 96-ე მუხლები, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილი.

### 6. სამართლებრივი შეფასება

6.1. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ (2007 წლის 13 დეკემბრის რედაქცია) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად მართლობიერ მფლობელობაში არსებული მიწა სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულები



მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული მენობა-ნაგებობით (ამენებელი, მშენებარე ან დაზღვეული) ან მის გარეშე, რომელზედაც ფიზიკურ პირს მართლწოდებითი მფლობელობის უფლება წარმოემა 1999 წლის 1 იანვრამდე.

ენვერ ირემასის საკუთრებაში აღიარებული მიწის ნაკვეთი არ იყო მის მართლწოდებითი მფლობელობაში.

6.2. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწოდების დამტკიცების შესახებ“ (2007 წლის 15 დეკემბრის რედაქცია) საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულების მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად მიწის მართლწოდებითი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტია - ცნობა დახასიათება თანდართული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საკომლო წიგნიდან ამონაწერი, მეზღის წიგნაკი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ მიწის ნაკვეთის 1994 წლის 31 დეკემბრამდე ფლობის ფაქტს, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში 0,30 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ამ კანონის ამოქმედებამდე ფლობის ფაქტს, „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის N 48 დადგენილების შესაბამისად სოფლის (დაბის) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი მიწის რეფორმის კომისიის მიერ შედგენილი და სოფლის (დაბის) ყრილობაზე (საერთო კრებაზე) დამტკიცებული მიწების განაწილების სია, თანდართული მიწის გამყოფის გეგმით ან მის გარეშე, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობისათვის სარეგისტრაციო პერიოდში მოქმედი საგადასახადო სია, სასამართლოს აქტი ან/და სხვა დოკუმენტი;

ენვერ ირემასე არ იყო საკუთრებადიარებული მიწის ნაკვეთის მართლწოდებითი მფლობელი და არც მართლწოდებითი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი გააჩნდა. სასამართლო განმარტავს, რომ მხოლოდ განცხადება და პირადობის მოწოდების ასლი არ წარმოადგენს მართლწოდებითი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

6.3. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ (2007 წლის 13 დეკემბრის რედაქცია) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად თვითნებურად დაკავებული მიწა - ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან კანონით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნის მიერ 2007 წლის 1 იანვრამდე თვითნებურად დაკავებული სახელმწიფოს საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული „შენობა-ნაგებობებით (ამენებელი, მშენებარე ან დაზღვეული) ან მის გარეშე, რომელიც საკუთრების



2011.11.15  
უფლების აღიარების მოთხოვნის მომენტისათვის სახელმწიფოს მიერ არ არის განკარგული.

ენვერ ირემბაძის საკუთრებაში აღიარებული მიწის ნაკვეთი არ იყო მის მიერ თვითნებურად დაკავებული და მიწის თვითნებურად დაკავების რაიმე სახის მტკიცებულება მას არ გააჩნია.

6.4. მიუხედავად იმისა, რომ ენვერ ირემბაძე არ იყო სადაო ნაკვეთის თვითნებურად დამკავებელი პირი, ასეთად არსებობის შემთხვევაშიც კი კომისია არ იყო უფლებამოსილი მასზე საკუთრების უფლების მოწმობა გაეცა, რადგან სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელი გონიო შედის საქართველოს კურორტების ნუსხაში, მსგავს ტერიტორიულ ზონებში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემის საკითხის განხილვისას, კომისიის მიერ სწორედ საკურორტო ადგილებთან დაკავშირებით არსებული ნორმატიული აქტების გათვალისწინებით უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე შეექმნება სანაპირო რეგიონების მდგრადი განვითარების შესაძლებლობას. • სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის №655 ბრძანებულების საფუძველზე სოფელ გონიოს კურორტების ნუსხაში არსებობით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება ის შუზღუდვები, რომელთა გათვალისწინებლობა გამორიცხავს მიწის ნაკვეთის თვითნებურად დამკავებელზე საკუთრებაში გადაცემას. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში საზოგადოების საერთო ინტერესთან, ამ შემთხვევაში საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით კი დაცულია სამართლიანი ბალანსი საჯარო ინტერესსა და კერძო ინტერესს შორის, რაც უნდა გათვალისწინებინა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას 2007 წლის 13 დეკემბერს და არ გაითვალისწინა.

6.5. "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძეგლის, კულტურული ფასეულობის, არქეოლოგიური დაცვის ზონაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის დასახვისა და სარგებლობის უფლებით გადაცემა ხორციელდება სამინისტროსთან შეთანხმებით, მის მიერ წინასწარ განსაზღვრული მათი მოვლა-პატრონობის პირობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.2.7. დადგენილი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით ენვერ ირემბაძეზე სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე განხორციელდა საკუთრების უფლების აღიარება, რაც "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის უზღუდლებუფიფას წარმოადგენს.



6.6. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ (2007 წლის 13 დეკემბრის რედაქცია) საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად - თუ დაინტერესებული პირის მოთხოვნა საკუთრების უფლების აღიარების შესახებ არ აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს ან განცხადებისათვის დართული დოკუმენტებით არ დასტურდება მართლზომიერი მფლობელობის, სარგებლობის ან თვითნებურად დაკავების ფაქტი, ან ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში, შესაბამისი ოდენობით და შესაბამის ვადაში არ იქნა გადახდილი საკუთრების უფლების აღიარების საფასური, კომისია იღებს წერილობით გადაწყვეტილებას საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე.

ენვერ ირემაძის მოთხოვნა საკუთრების უფლების აღიარების შესახებ არ აკმაყოფილებდა მითითებული კანონით განსაზღვრულ პირობებს, არ დასტურდებოდა მართლზომიერი მფლობელობის ან/და თვითნებურად დაკავების ფაქტი და მხოლოდ საკადასტრო აზომვითი ნახაზი არ იყო უდაო მტკიცებულება მიწის მფლობელობის დასადგენად.

6.7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაუმწკვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

2007 წლის 13 დეკემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ უგულებელყოფილი იქნა ხსენებული დებულება, კერძოდ კომისიამ ზერელედ, საქმის გარემოებათა შესუსვლელად მოახდინა ენვერ ირემაძეზე საკუთრების უფლების აღიარება და შემდგომ საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა.

6.8 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველ ნაწილის მიხედვით ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საქართველოს ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისია უფლებამოსილი იყო დაეწყო ადმინისტრაციული წარმოება მის მიერ წარსულში მიღებულ გადაწყვეტილების კანონიერებაზე და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. სასამართლოს მიაჩნია, რომ ენვერ ირემაძეზე გაცემული №0038 საკუთრების უფლების მოწმობის გაცემის კანონიერების